თამაზ ბაქრაძე, ირაკლი წერეთელი

ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და საგადასახადო სამართლიანობის აღდგენის გზები საქართველოში

თამაზ ბაქრაძე – სტუ-ს სრ. პროფესორი
ირაკლი წერეთელი – სტუ-ს მაგისტრანტი

დღეს არავისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ "ნაციონალური" მოძრაობის მმართველობის 9 წლიანმა რეჟიმმა ქვეყნის ეკონომიკა მიიყვანა ღრმა სტაგნაციამდე: საბოლოოდ შეაჩერეს ფუნქციონირება ისეთმა მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა, როგორებიცაა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ჩარხმშენებელი გაერთიანება, თბილისის საავიაციო ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და სხვა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ფაქტობრივად გაჩერდნენ ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზე მომუშავე საწარმოო სიმძლავრეებიც - თბილისის აბრეშუმისა და მაუდკამვოლის კომბინატები, გორის ყოფილი N1 საკონსერვო ქარხანა, "გრები" ("გადავაქციოთ რესპუბლიკა ედემის ბაღად") და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი სხვა ქარხნები. ქვეყანაში მიზანმიმართულად ტარდებოდა მმართველი ელიტის მცირერიცხოვანი ჯგუფის გამდიდრებისაკენ მიმართული მონოპოლისტური ეკონომიკური პოლიტიკა, შეგნებულად იზღუდებოდა მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესი და ხელი ეშლებოდა საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი მახასიათებლის - თავისუფალი კონკურენციის განვითარებას ქვეყანაში. გავიხსენოთ კერძო ჯიხურების მასიური აღებები, გარე ვაჭრობების აკრძალვები საქონლის კონფისკაციების თანხლებით, საკასო აპარატების იძულებითი მიყიდვები, კერძო ბიზნესების ძალით ჩამორთმევები და სხვა განუკითხავი ქმედებები. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესი მსოფლიოში აღიარებულია როგორც მეწარმეობის უმნიშვნელოვანესი და მაღალეფექტიანი სექტორი, საქართველოში მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რაზეც მეტყველებს ცხრილ N1-ში მოცემული სტატისტიკური მონაცემების დინამიკა. როგორც ვხედავთ, მცირე ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 2004-2010 წლებში მერყეობდა მხოლოდ 3,9-5,1 პროცენტების ფარგლებში. ამასთან ერთად 2000-2010 წლებში მცირე ბიზნესში მომუშავე პერსონალის რაოდენობა ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში აღწევდა არაუმეტეს 18-25 პროცენტისა. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიკრო და მცირე ბიზნესის საწარმოებში იწარ-

ცხრილი 1

მცირე ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში

	მშპ (მლნ. ლარი)	მცირე ბიზნესის გამოშვებული პროდუქცია	წილი მშპ-ში, %
2004	9824.3	386.3	3.9
2005	11620.9	551.2	4.7
2006	13789.9	588.9	4.2
2007	16999.3	513.3	3
2008	19074.9	527.4	2.7
2009	17986	881.3	4.8
2010	20791.3	1060.1	5.1

ცხრილი შედგენილია "საქსტატის" მონაცემების საფუძველზე

მოება მშპ-ის ნახევარზე მეტი მოცულობის პროდუქცია. მაგალითად, აშშ-სა და გერმანიაში მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება მშპ-ის 50-52%, საფრანგეთში - 55-62%, იაპონიაში - 52-55%, დიდ ბრიტანეთში - 50-53%, იტალიაში - 57-60%, ევროკავშირის ქვეყნებში - 63-67% და ა.შ. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ, გერმანიაში მცირე საწარმოებში მუშაობს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 46%, საფრანგეთსა და აშშ-ში - 54%, დიდ ბრიტანეთში - 49%, იტალიაში - 73%, იაპონიაში - 78,8% და ა.შ.

"ნაციონაური მოძრაობის" მთავრობის მიერ გატარებული მონოპოლისტური ეკონომიკური პოლიტიკა, რა თქმა უნდა, დამღუპველი იყო ქვეყნისათვის, რადგანაც იგი ამუხრუჭებდა მის ჰარმონიულ და ეფექტიან განვითარებას. სამაგიეროდ ასეთი პოლიტიკა ძალზე მომგებიანი და ზედგამოჭრილი გახლდათ მცირერიცხოვანი ელიტის სწრაფად და იოლად გამდიდრებისათვის. მათ კარგად გააცნობიერეს ქართული ანდაზა "ჩიტი ბრდღვნად არ ღირსო" და მიხვდნენ, რომ ათასობით მცირე და, განსაკუთრებით კი, მიკრო ბიზნესის საწარმოებს ვერ ჩაუჯდებოდნენ წილში და ვერც მნიშვნელოვან თანხებს ვერ ამოიღებდნენ მცირე მასშტაბების გამო. ამიტომ, წილების შეწერისა და თავიანთი ეგოისტური მიზნების დასაკმაყოფილებლად, ისინი ყველა საშუალებებით ხელს უწყობდნენ თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი მონოპოლიური და ოლიგოპოლიური საწარმოების შექმნას, მათ შორის საიდუმლო კარტელური შეთანხმებების დადებასა და მოგების მაქსიმიზაციას მოსახლეობის ფართო ფენების კეთილდღეობის გაუარესების ხარჯზე. 2004 წელს მათ ანტიმონოპოლიური სამსახურიც კი გააუქმეს ქვეყანაში, რითც კიდევ უფრო წაახალისეს და ხელ-ფეხი გაუხსნეს მონოპოლისტებს. ამავე დროს გამიზნულად ხორციელდებოდა ქართული სოფლის გაჩანაგება, გლეხებს მოსპობილი ჰქონდათ თავიანთი ჭირნახულის რეალიზაციის საშუალება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მათ ძალით მიეყიდებოდათ ჯანმრთელობისათვის მავნე გიბრიდული სიმინდის სათესლე მასალა, არ უნაზღაურდებოდათ მიყენებული ზარალი, არ უწევდნენ ტექნიკურ დახმარებას და ა. შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად დაიწყო საქართველოს სოფლების, ისევე როგრც ქალაქების დაცლა მოსახლეობისაგან და მათი წასვლა ემიგრაციაში ლუკმა-პურის საშოვნელადა და ოჯახების შესანახად.

ამგვარად, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში "ნაციონალური მოძრაობა" მიზანმიმართულად ახორციელებდა არა ქვეყნისთვის სასარგებლო პროსამეწარმეო, არამედ პროიმპორტულ პოლიტიკას, რაც მათ აძლევდა ფულის უფრო მარტივად და უპრობლემოდ კეთების საშუალებას. შედეგად სწრაფი ტემპებით იზრდებოდა იმპორტის მოცულობა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის უარყოფითი სალდო, რომელმაც 2012 წელს მიაღწია კოლოსალურ სიდიდეს (-5465 მილიონ აშშ დოლარს), ანუ ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარზე მეტ თანხას (იხ. ცხრილი 2.). ეს კი ნიშნავს იმას, რომ რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნ, მათ შორის ემიგრანტების მიერ სამშობლოში გამოგზავნილ ფულს, საქართველოს მოსახლეობა ხარჯავდა იმპორტირებული პროდუ-

ცხრილი 2

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის, ექსპორტის, იმპორტისა და საგარეო სავაჭრო სალდოს სიდიდეების ცვლილება დინამიკაში

	მაჩვენებლები (მლნ. აშშ დოლარებში).	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013 I-IX
1	საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9247	10220	7585
2	ექსპორტი	1232	1495	1134	1677	2189	2377	2019
3	იმპორტი	5212	6302	4500	5257	7058	7842	5566
4	საგარეო სავაჭრო სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5465	-3548
5	ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, %%	19,1	19,2	20,1	24,2	23,7	23,3	26,6

ქციის შეძენაზე და ფაქტობრივად აფინანსებდა და ხელს უწყობდა უცხოური ფირმების განვითარებას. შესაბამისად ფეხზე ვერ დგებოდა სამამულო საწარმოები და დღითი-დღე იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი ქვეყანაში.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს წინა მთავრობის მიერ მმართველი ელიტის სასარგებლოდ, მაგრამ სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ ქვეყნის საგადასახადო სისტემაში გატარებული ცვლილებების გამოსწორება და საგადასახადო სამართლიანობის აღდგენა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 2004 წელს პროგრესული საშემოსავლო გადასახადის გადაკეთება პროპორციული ხასიათის გადასახადად, ხოლო შემდგომ დამსაქმებლების ანუ საწარმოების განთავისუფლება სოციალური გადასახადისაგან და მისი მიერთება საშემოსავლო გადასახადთან. ამით "ნაციონალების" მთავრობამ ერთი ხელის მოსმით, სპეციალისტებთან ყოველგვარი კონსულტაციებისა და განხილვების გარეშე, სოციალური გადასახადის ტვირთი საწარმოებიდან (რომელთა შემოსავლის წილებშიც თვითონ იყვნენ ჩამჯდარი) გადაიტანეს დასაქმებულთა, ანუ მოსახლეობის მხრებზე. შედეგად დღეს საშემოსავლო გადასახადი იბეგრება ფიქსირებული 20 პროცენტიანი განაკვეთით მიუხედავად საგადასახადო ბაზის ანუ შემოსავლის სიდიდისა. ასეთი დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობისა და სამართლიანობას მოკლებული პროპორციული საშემოსავლო გადასახადი დამახასიათებელია ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოებისათვის. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში საშემოსავლო გადასახადი პროპორციული ხასიათისაა და საგადასახადო განაკვეთი როგორც მდიდრებისათვის, ისე ღარიბებისათვის შეადგენს მხოლოდ 13 პროცენტს. ამით უხეშადაა დარღვეული როგორც ვერტიკალური სამართლიანობის, ისე რობინ ჰუდის ჰუმანური პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებენ შემოსავლების შემცირებასთან ერთად საგადასახადო ტვირთის შესაბამის შემცირებას. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის უკლებლივ ყველა ქვეყანაში და მსოფლიოს სხვა წამყვან სახელმწიფოებში მოქმედებენ სამართლიანი პროგრესული საშემოსავლო გადასახადები ზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს შორის ფართო დიაპაზონით. მაგალითად, გერმანიაში საშემოსავლო გადასახადის მინიმალური და მაქსიმალური სარგოების სიდიდეები იცვლებიან - 14-დან 45%-მდე ფარგლებში, იტალიაში - 23-დან 43 %-მდე, ესპანეთში - 24-დან 43%-მდე, შვედეთში - 0-დან 56%-მდე, ირლანდიაში - 20-დან 41%-მდე, ნორვეგიაში - 28-დან 51%-მდე, დანიაში - 38-დან 59%-მდე, ნიდერლანდებში - 0-დან 52%-მდე, ავსტრიაში - 21-დან 50%-მდე, პორტუგალიაში - 0-დან 42%-მდე, ბელგიაში - 25-დან 50%-მდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 10-დან 35%-მდე, იაპონიაში - 5-დან 40%-მდე, ჩინეთში - 5-დან 45%-მდე, ისრაელში - 10-დან 47%-მდე, სინგაპურში - 3,5-დან 20%-მდე, დიდ ბრიტანეთში - 0-დან 50%-მდე და ა. შ. როგორც ვხედავთ, საშემოსავლო გადასახადის სარგოების შკალაში ყველაზე მაღალი ზედა ზღვარი აქვთ ნიდერლანდებს (52%), შვედეთს (56%) და დანიას (59%), რაც ამ ქვეყნებს უქმნის კარგ შესაძლებლობებს ქვეყანაში შექმნილი დოვლათის სამართლიანი გადანაწილების თვალსაზრისით. პროგრესული საშემოსავლო გადასახადები ზრდიან ბიუჯეტში შესატან თანხებს, რაც განაპირობებს უმუშევართა შემწეობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებებისა და სხვა სოციალური ხასიათის ფონდების უკეთ დაფინანსებას. მაღალშემოსავლიან პირებს ხომ გადასახადების გადახდის შემდეგ მაინც რჩებათ თავიანთ განკარგულებაში უზარმაზარი დისკრეციული თანხები. ამიტომ მათ კეთილი უნდა ინებონ და შემოსავლების გადიდებასთან ერთად დაიბეგრონ მზარდი, პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით. აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილ ქვეყანათა უმრავლესობაში გათვალისწინებულია შეღავათები საშემოსავლო გადასახადებში. მაგალითად, გერმანიაში ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით იბეგრება იმ პირების საშემოსავლო გადასახადი, რომელთა წლიური შემოსავალი 8004 ევროზე ნაკლებია. 8000 ევროზე ნაკლები წლიური შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები ასევე იბეგრებიან ნულოვანი საშემოსავლო საგადასახადო განაკვეთით (ანუ არ იბეგრებიან) იტალიაში და ა. შ.

ამგვარად, 2012 წლის 1 ოქიომბრის პარლამენტის არჩევნების შემდეგ მოსულმა საქართველოს ახალმა მთავრობამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო ყველა სფეროში და პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკაში. სავსებით გასაგებია, რომ ერთი ხელის მოსმით, პირველსავე წელს შეუძლებელი იყო უამრავი დაგროვილი პრობლემის ერთბაშად მოგვარება. არსებული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზისა და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ჩვენ ვთავაზობთ ქვეყანაში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის სწრაფად ამაღლებისა და საგადასახადო სამართლიანობის აღდგენის ქვემომოყვანილ წი-

ნადადებებსა და რეკომენდაციებს: — საჭიროა ქვეყანაში გატარდეს მკვეთრად გამოკვეთილი პროსამეწარმეო პოლიტიკა საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეების უპირატესი განვითარებით. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რათა საქართველოს ყოფილმა სამრეწველო ფლაგმანებმა - თბილისის ელმავალმშენებელმა, საავიაციო, ქუთაისის საავტომობილო და სხვა ქარხნებმა შექმნან ერთობლივი საწარმოები მძლავრ და წამყვან უცხოურ ფირმებთან ანდა, დაამყარონ კოოპერირებული საწარმოო კავშირები მათთან. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ვენჩურული საწარმოების ჩამოყალიბებასა და ამოქმედებას, რაც ხელს შეუწყობდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ქვეყანაში; — მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწრაფოდ აღდგეს და მთელი სიმძლავრით ამოქმედდეს ანტიმონოპოლიური სამსახური საქართველოში, რომელიც გაუქმებულ იქნა 2004 წელს "ნაციონალური" მოძრაობის მთავარი ფინანსური იდეოლოგის კახა ბენდუქიძის მიერ. ეს ხელს შეუწყობდა თავისუფალი კონკურენციის დამყარებასა და წარმობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას ქვეყანაში. ამასთან ერთად ეს სამსახური ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარების საბაბით დაიცავდა ქართველ მეწარმეებსა და შიდა ბაზარს უცხოური პროდუქციის ექსპანსიისაგან და დაუწესებდა მათ იმპორტის ქვოტებს. ამავე თვალსაზრისით, აუცილებელია სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში დამონტაჟდნენ სპეციალური ლაბორატორიები მდარე ხარისხისა და ჯანმრთელობისათვის მავნე გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტის აღსაკვეთათ. შიდა ბაზრის დასაცავად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სხვა არასაფასო ბარიერებიც; — "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაში გათვალისწინებული რეგიონებში 60 (ახლა უკვე 100) საწარმოს მშენებლობის დასაჩქარებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რათა ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით და გარედან, უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლებლების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევით შეიქმნას კომპეტენტურ სპეციალისტთა მუშა ჯგუფები, რომლებიც რეგიონებში ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით გამოავლენდნენ ბიზნეს-იდეებს, შეიმუშავებდნენ შესაბამის ბიზნეს-გეგმებს და შესთავაზებდნენ ბიზნესმენ-ინვესტორებს. ეს არ იქნებოდა დაკავშირებული დიდ ხარჯებთან, სამაგიეროდ მკვეთრად გაიზრდებოდა ინვესტორთა დაინტერესება ახალი მომგებიანი საწარმოების მშენებლობით; — აუცილებელია მკვეთრად გააქტიურდეს საქართველოს სსიპ სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობა. მისი ვალდებულება ხომ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში საწარმოთათვის დახმარების გაწევა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე იგი ქართველ მეწარმეებს გამუდმებით უნდა უწევდეს კონსულტაციებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უკანასკნელი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის საქმეში. ამასთან ერთად სავაჭრო-სამრეწველო პალატა საერთაშორისო ბიზნეს-გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით პერმანენტულად უნდა საზღვრავდეს უცხოურ ქვეყნებთან მიმართებაში შეფარდებითი უპირატესობის მქონე ქართული საექსპორტო პროდუქციის სახეებს, უნდა ანგარიშობდეს მათი ექსპორტის ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტებს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით და ეს ინფორმაცია რეკომენდაციებთან ერთად გაავრცელოს ქართველ მეწარმეებსა და ბიზნეს-წრეებში. ამით სავაჭრო-სამრეწველო პალატამ უნდა გაუადვილოს ქართველ მეწარმეებს მომგებიანი უცხოური ბაზრების შერჩევა და გასვლა სარფიან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე; — საგადასახადო სამართლიანობის აღდგენის მიზნით მიზანშეწონილია საშემოსავლო გადასახადი პროპორციულიდან გადაკეთდეს პროგრესულად და გამოყენებულ იქნას გადასახადის ორგანიზაციის ირლანდიული, შვეიცარიული ან სხვა ქვეყნის მოდელი; — იურდიული პირები, ისევე როგორც ფიზიკური პირები, ვალდებულნი არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის სოციალური ფონდების შექმნის საქმეში. ამიტომ სამართლიანად და საჭიროდ მიგვაჩნია სოციალური გადასახადი გამოეყოს საშემოსავლო გადასახადს და მისი გადახდა კვლავ დაეკისროს დამსაქმებლებს ანუ საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებს.

THE WAYS OF SPEED-UP OF THE ECONOMICAL DEVELOPMENT AND RESTORATION OF JUST TAXATION IN GEORGIA

Tamaz Bakradze – Full professor of GTU
Irakli Tsereteli – PhD of GTU

In this scientific article there are examined the mistakes and errors, which were admitted by the regime of "National" movement during their 9-year government in Georgia. Particularly, there is noted, that in the country was purposeful conducted monopolistic economical policy, which was directed to getting rich of fewness managing group of people. Purposeful was restricted development of micro, small and middle business and hindered free competition. Without attention and support was leaved agricultural production. On the base of analysis of the statistical material is concluded, that instead of industrial policy there was carryed out import policy. As a result of this, volume of import was increasing very fast in comparison with export and value of negative saldo of foreign trade turnover in 2012 year reached huge figure (-5465 million USA dollars). That means, that population of Georgia were paying to foreign productions and accordingly were financing and supporting them. Accordingli native enterprises were laging behind and unemployment was increasing in the country. After analysis of economical situation of the country a number of effective propositions and recommendations are suggested for economicai development and restoration of just taxation in Georgia.